მთავარი მიზეზები. ცხადად არ ჩანს, რომ საკითხი ისტორიულად დასაგებია, მაგრამ ნორმალური კონფლიქტი ნამდვილად სახეზეა და თურქეთი სრულად იყენებს სიტუაციას რეგიონში საკუთარი მნიშვნელობის გაზრდის თვალსაზრისით.

სურათს ავსებს თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრებიდან მოსული ცნობები. იქ ქურთები, თითქოს ბრძანების მიხედვით, შეუდგნენ არა მხოლოდ თურქეთის, არამედ სირიის მოკავშირე ირანის შენუბებასაც. თურქეთმა მწვავე რეაქციით გასცა პასუხი და ერაყის ტერიტორიაზე ქურთების ავტონომიის მიაყენა საპასუხო დარტყმა. ანკარის ამგვარი დამოკიდებულება გასაგებია: ქურთების პრობლემა მისი მუდმივი თავისუფლების მიზანია და გამოიცილებული არაა, რომ ანკარას დამასკოსა და თეირანთან დაახლოებისკენ უბიძგა სწორედ დიდი ახლო აღმოსავლეთის პროექტმა, რომელიც ერაყის, ირანის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიათა ნაწილების გაერთიანებით დამოუკიდებელი ქურთების ტანის შექმნას გულისხმობს.

ახლა სიტუაცია იცვლება, მაგრამ, როგორც ცნობილია, ახლო აღმოსავლეთი სათუთი საკითხია. თურქეთის აღმოსავლეთითა და ირანის ჩრდილო-დასავლეთით პროვინციებში ქურთებთან შეტაკებები რაღაც სასწაულის შედეგად სირიის ირგვლივ ისტერიკის შეწყვეტასა და თეირანის მიერ ასადის სისასტიკის გამოხატვას მიერთებას დაემთხვა. შესაძლოა, თურქეთსა და ირანში მიხვდნენ, რომ დიდი ხნის მანძილზე და ნაყოფიერად ისრაელთან თანამშრომლობის შემდეგ ქურთები, რომლებიც თავს აზიამი ყველაზე პროამერიკულ ხალხად

მიჩნევენ, რეგიონის დემოკრატიზაციის როლისათვის პირველი კანდიდატები არიან. იმის მსგავსად, როგორც პალესტინელებს გამოსარჩევად უნდა იქონიონ, ისრაელის დასუსტება რა ისრაელს და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით იმუქრება რა ძალის გამოყენებით, ანკარა ვაშინგტონს აჩვენებს, რომ სწორედ მასთან უნდა იქონიოს საქმე და არა მის მეზობლებთან. საკითხის ამგვარად დაყენება სასურველი შედეგების მიღებისათვის უზრუნველყოფს. სხვა საკითხია, სინამდვილეში ვინ უზრუნველყოფს რეგიონში მუსიკას. ბოროტი ხმები, თანაც თავად აშშ-ში, ირმუნებია, რომ „არაბული გაზაფხული“ საუბრის დინამიკის პროექტია, ვაშინგტონი კი იძულებულია, მის დაკრულზე იცეკვოს.

უფრო მეტიც, უბიძგა რა ანკარას გადამწყვეტი მოქმედებებისაკენ სირიისთან მიმართებაში, საუბრის არაბეთმა არა მხოლოდ ირანის პროვოცირება მოახდინა, არამედ სცადა, თურქეთი რეგიონში საკუთარი პოლიტიკის ინსტიტუტების პრობლემა მისი მუდმივი თავისუფლების მიზანია და გამოიცილებული არაა, რომ ანკარას დამასკოსა და თეირანთან დაახლოებისკენ უბიძგა სწორედ დიდი ახლო აღმოსავლეთის პროექტმა, რომელიც ერაყის, ირანის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიათა ნაწილების გაერთიანებით დამოუკიდებელი ქურთების ტანის შექმნას გულისხმობს.

საუბრის დინამიკის პროექტია, ვაშინგტონი კი იძულებულია, მის დაკრულზე იცეკვოს. უფრო მეტიც, უბიძგა რა ანკარას გადამწყვეტი მოქმედებებისაკენ სირიისთან მიმართებაში, საუბრის არაბეთმა არა მხოლოდ ირანის პროვოცირება მოახდინა, არამედ სცადა, თურქეთი რეგიონში საკუთარი პოლიტიკის ინსტიტუტების პრობლემა მისი მუდმივი თავისუფლების მიზანია და გამოიცილებული არაა, რომ ანკარას დამასკოსა და თეირანთან დაახლოებისკენ უბიძგა სწორედ დიდი ახლო აღმოსავლეთის პროექტმა, რომელიც ერაყის, ირანის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიათა ნაწილების გაერთიანებით დამოუკიდებელი ქურთების ტანის შექმნას გულისხმობს.

საუბრის დინამიკის პროექტია, ვაშინგტონი კი იძულებულია, მის დაკრულზე იცეკვოს. უფრო მეტიც, უბიძგა რა ანკარას გადამწყვეტი მოქმედებებისაკენ სირიისთან მიმართებაში, საუბრის არაბეთმა არა მხოლოდ ირანის პროვოცირება მოახდინა, არამედ სცადა, თურქეთი რეგიონში საკუთარი პოლიტიკის ინსტიტუტების პრობლემა მისი მუდმივი თავისუფლების მიზანია და გამოიცილებული არაა, რომ ანკარას დამასკოსა და თეირანთან დაახლოებისკენ უბიძგა სწორედ დიდი ახლო აღმოსავლეთის პროექტმა, რომელიც ერაყის, ირანის, სირიისა და თურქეთის ტერიტორიათა ნაწილების გაერთიანებით დამოუკიდებელი ქურთების ტანის შექმნას გულისხმობს.



ერდოღანიც შეუდგა საკუთარი „ისლამური ნატოს“ შექმნას. გამოცხადდა, რომ თურქეთი უახლოეს მომავალში სამხედრო შეთანხმებას გააფორმებდა ევროატლანტურ უკანასკნელ პერიოდამდე ამგვარ ნაბიჯებს მუხარატი ენინალმდებარეობდა, რადგან ისლამურ სამყაროზე გავლენის ცენტრად ევროატლანტისა და საკუთარ თავს მოიაზრებდა.



# არსებული რევოლუსიის შედეგად თურქეთი «ისლამურ ნატოს» შექმნის

ესეაა, ჩასახული „ისლამური დემოკრატიების“ საკუთარი ფრთის ქვეშ შეფარება მხოლოდ თურქეთს ან საუდის არაბეთს შეუძლია. მაგრამ საუდისეული პოლიტიკური ნიშნები ძალზე არქაულია და, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ უწოდებ „დემოკრატიულ ნიშნებს“. გარდა ამისა, საუდური მონარქია, რომელიც უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს განაგებს, ძლიერ სამხედრო ძალას არ წარმოადგენს. მისი რესურსები, შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს პატარა კუნძულოვანი სახელმწიფო ბაჰრეინის აჯანყებების ჩასახშობად, მაგრამ მეტი არაფრისთვის. სამაგიეროდ, თურქეთი, რომლის ჯარიც ნატოში რიცხოვნებით მხოლოდ აშშ-ისაა ჩამორჩება, „უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ მხრივ, გაცილებით სოლიდურად გამოიყურება.



ვამი, საკუთარი ნევრები დაიცვას.

„არაბული რევოლუციების“ ციკლის დასრულების შემდეგ დადგება საკითხი, რა პრინციპების მიხედვით მოხდება არაბული სამყაროს კონსოლიდაცია. ახლო აღმოსავლეთის მრავალწლიანი ტრადიციების შესაბამისად, „ჩვენიანი-უცხოის“ მთავარ იდენტიფიკატორად ისრაელისადმი დამოკიდებულება იქცევა.

ამ მხრივ ერდოღანის რიტორიკა და ქმედებები საკლებით შესაბამეა იმ ისლამური ორგანიზაციების იმედებს, რომლებიც რევოლუციებით შერყეულ სახელმწიფოებში ხელი-სუფლებსაკენ მიისწრაფვიან. ჯერ კიდევ 2006 წლის აგვისტოში თურქეთის ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისიამ ლიბანში ისრაელის ქმედებებს „სახელმწიფო ტერორიზმი“ და ვენოვდა. ახლა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა გეგმავს.

ერდოღანი აპირებს, პირადად ჩაეხედოს პალესტინაში, სადაც ხამასთან მმართველი თურქეთ-ისრაელის დამოკიდებულება რთულია, როგორც არასლამური. „თავისუფლების ფლოტილიასთან“ დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა პრაქტიკულად შეწყდა, თურქეთში ჩასვლა ისრაელის ფეხბურთელებსაც კი აუკრძალეს. თუ თურქეთი საკუთარ მცდელობებს ლოკალურ დონეზე შეზღუდვას დასასრულამდე მიიყვანს, ისრაელი ერთ ფრონტად მოქმედი ისლამური სახელმწიფოების წრეში აღმოჩნდება.

თუმცა დიპლომატიის დაპირისპირება, შესაძლოა, სამხედრო კონფრონტაციის ფაზაშიც გადავიდეს. თურქულმა სარდლობამ ახალი სამხედრო-საზღვაო სტრატეგია შეიმუშავა და მას „ოპერაცია ბარბაროსა“ უწოდა. „ბარბაროსას“ სტრატეგიის ფარგლებში, თურქული ფლოტი მნიშვნელოვანი ძალის კონცენტრირებას კვიპროსისა და ისრაელის სანაპიროებთან მოახდენს. იქ შექმნება ორი ფრეგატის, ორი კორვეტის, რამდენიმე საყარაულო გემის, უზრუნველყოფის გემისა და გემებისაგან შემდგარი ფლოტილია, რომელსაც ჰაერიდან საავიაციო ჯგუფი დაიცავს. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის წყლებში მუდმივად განახორციელებს პატრულირებას ოთხი ფრეგატისა და ერთი უზრუნველყოფის გემისაგან შემდგარი ფლოტილია, რომელსაც ბორტზე კომანდოსის ქვედანაყოფი ეყოლება. „თავისუფლების ფლოტილიის“ ყველა გემს თურქული გემები გააცივლებს.

ისრაელის თავდაცვის არმიის გენერალ-მაიორმა ეილ ეიზენბერგმა გააკეთა განცხადება, რომლის თანხმადაც ახლო აღმოსავლეთში დიდი ომის ალბათობა სწრაფად

როგორც გეოპოლიტიკის მამები ამბობდნენ, „ნებისმიერი ომის მიზანი მშვიდობაა, სასურველია უკეთესი, ვიდრე ომამდე იყო“. ცხადია, ახალი მშვიდობა უკეთესი უნდა იყოს მათთვის, ვინც ომი დაიწყო. შემომოყვანილ პოსტულატთან მჭიდრო კავშირშია ისიც, რომ მსოფლიოს „გაუმჯობესების“ კრიტერიუმად ყველაზე ხშირად ნახშირწყალბადების მეტრაოდენობასთან წვდომა მოიზარება.

უკვე შესაძლებელია, სრული დარწმუნებით ითქვას, რომ აფრიკის ჩრდილოეთით დასრულებული მოვლენების არსის სისტემური პროცესი, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს პოლიტიკის ყველა ვარიანტს დიპლომატიური ზენოლიდან და მოსახლეობასთან მუშაობის ტექნოლოგიის რეალიზაციიდან დაწყებული არასასურველებზე პირდაპირი სამხედრო ზემოქმედებით დამთავრებული. ამასთან, სამხედრო ზემოქმედება ახალი — „თეატრალური“, „ტვიტეროცენტრული“ ომის სახით ხორციელდება და მასში მთავარი იარაღი ინფორმაციული „აფეთქებაა“. ავადარტყმები მხოლოდ ამის შედეგად ჩნდება.

ლონდონიდან აშშ-ის მხრიდან ნავთობისა და გაზის საბადოებზე, მათ მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლის კიდევ უფრო გაზრდა. მნიშვნელოვანი რეგიონიდან „არასტაბილურობის კერების“ მეშვეობით კონკურენტების ჩამოცილება სტრატეგიის ნაწილია. ეს ყოველივე გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გათვალისწინებით სულ უფრო მეტად ნაგავს ფსევდო-სალივანტს, რომელსაც ყველა ჯურის რადიკალი უდგას სათავეში.

ყველაფერი მასშტაბურად ხდება და ყოველ ახალ ნაბიჯს მრავალი შედეგი ახლავს. გარდა იმ მსხვილი მოთამაშებისა, რომლებიც თავიანთ ამოცანებს წყვეტენ, აუცილებლად

ჩნდება მოქმედ პირთა „მეორე ეშელონიც, რომელიც ცდილობს, საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს ხელსაყრელი სიტუაცია, როგორმე ხელში ჩაიგდოს ნავთობსაგაზო ნამცხვრის ერთი ნაჭერი მანც და სხვა ფრონტებზე პოზიციები გაიმყაროს.

„არაბული გაზაფხულით“ მოცულ სახელმწიფოებში ხელისუფლებაში ნელ-ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მოდიან „ძმები მუსლიმანების“ მსგავსი იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციები, მეზობელ ლიბიაში კი კონსოლიდირებადი ძალების სახით სახსენებო ოფიციალურად მოქმედებს „ალ ქაიდა“. რადიკალური ისლამისტები აუცილებლად მოვლენ ხელისუფლებაში. ინფორმაციის ოფიციალური დიპლომატიური არხებიც კი ადასტურებენ, რომ რეგიონში შექმნილი სიტუაცია არაფრით ჰგავს „გამარჯვებული დემოკრატიული ხალხის“ ტრიაფირებად სიუჟეტს.

რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის, მიხეილ მარგელოვის თქმით, ეგვიპტეში „ძმებმა მუსლიმანებმა“ დაარეგისტრირეს თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტია, რომელიც ახლა ქვეყანაში ერთადერთი პოლიტიკური ძალაა და მოსახლეობის ღარიბ ფენას ეყრდნობა. თუ ეს პარტია ხელისუფლებაში მოვა, ეგვიპტეს, საუკეთესო

## «არაბული გაზაფხულით» მოხულ სახელმწიფოებში ხელისუფლებაში ნელ-ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მოდიან «ძმები მუსლიმანების» მსგავსი იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციები

შემთხვევაში, სტაგნაცია და იმ ავტორიტარული მოდერნიზაციის აღსასრული ელის, რომელსაც მუხარატი თავისი რკინის ხელით ახორციელებდა. რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ისიც გაიხსენა, რომ ტუნისში მოიხსნა აკრძალვა ისლამისტურ მოძრაობა „ან-ნახდუე“ და არჩევნებზე მისი მხარეზე საკმაოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს. „ძმები“ აქტიურად მოღვაწეობენ სირიაშიც, სადაც, ლიბიის მსგავსად, შეიქმნა ნაციონალური გადარჩენის საბჭო, რომელიც, ლიბერალებისა და თემთა წარმომადგენლების გარდა, „ძმები მუსლიმანებიც“ შედიან. თუ დასავლეთი ამ საბჭოს აღიარებს, სირიაში რაღაც ლიბიის მსგავსი მოხდება, რაც უკიდურესად სასიფათო და არასწორი იქნება, ამბობს მარგელოვი. იმის მხარე, რომ მოვლენები სხვა მიმართულებით განვითარდეს, პრაქტიკულად ნულის ტოლია. როგორც უკანასკნელი 20 წლის გამოცდი-

ლება ცხადყოფს, აშშ და მისი მოკავშირეები ნებისმიერი მეტოდეებით ცდილობენ ყოველი მორიგი მსხვერპლის ხელში ჩაგდებას. სირიაში „ძმები მუსლიმანებზე“ ძალზე სერიოზულ იმედებს ამყარებენ და ამ იმედებზე უარის თქმას არავინ აპირებს.

უკანასკნელი წლების მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამგვარი კავშირები საოცრად კანონზომიერია. ისტორიის განსაზღვრულ მომენტებში რადიკალი ისლამისტები ამერიკის კურატორებით უამრავ მოქმედებას ახორციელებდნენ, რათა სახელმწიფოთა განვითარება აშშ-ისთვის სასურველი მიმართულებით შეებრუნებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა, შიდა პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულებები უკვე გამოჩნდა. ეგვიპტის ხელისუფლება აპირებს, ქვეყანაში შესვლის წესები გაამკაცროს და ტურიზმი ისლამის ნორმებთან მიახლოვოს. მაგალითად, მთლიანად ტურისტულ ეგვიპტეში პლაჟზე ბიკინებით გამოჩენისთვის ჯარიმა დაწესდება. ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამგვარი ზომების მიღებით ქვეყანა ნელინადმი 13 მილიარდი დოლარის შემოსავალს დაკარგავს.



### და არა მხოლოდ ტურიზმის თვალსაზრისით.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი ეგვიპტის სტანდარტებთან ეტაპობრივი მიახლოების პოლიტიკას ახორციელებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, თავად ერდოღანი იდეოლოგიურად პოლიტიკური ისლამის ბანაკშია. ამიტომ მის ხელისუფლებას ადრე თუ გვიან უნდა მოსვლოდა აზრად, ეგვიპტეში, ტუნისის, ლიბიის, ევროპეტიკაში კი სირიის ისლამიზაციის ანკარის ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა. საყოველთაო ჯაოსის პირობებში ხომ მხოლოდ თურქეთს შეუძლია ერთდროულად გამოვიდეს როგორც სტაბილური ისლამური სახელმწიფოს, ასევე თეთრი სახლის კეთილგანწყობით მოსარგებლე აშშ-ის მოკავშირის როლში.

და ერდოღანიც შეუდგა საკუთარი „ისლამური ნატოს“ შექმნას. გამოცხადდა, რომ თურქეთი უახლოეს მომავალში სამხედრო შეთანხმებებს გააფორმებდა ეგვიპტესთან. უკანასკნელ პერიოდამდე ამგვარ ნაბიჯებს მუხარატი ენინალმდებარეობდა, რადგან ისლამურ სამყაროზე გავლენის ცენტრად ეგვიპტესა და საკუთარ თავს მოიაზრებდა.

ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. წარმოიშვა სიტუაცია, რომელსაც ერთი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა: აშშ-ის მთავარი მოკავშირე და ბირთვული იარაღის მფლობელი ისრაელი უპირისპირდება თურქეთსა და ნატოში მის, რიგით მეორე სიდიდის არმიას. ამდროს ალიანსის მოვალეა, მესამე ძალის მხრიდან, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვე-



ნათანიაჰუს ფოტო, სადაც ის ჰიტლერისეული ულვაშებითა და ესეკლავის ფორმით ნაცისტებს ესალმება, 28 აგვისტოს ეგვიპტის პოპულარული გამოცემის გარეკანზე გამოჩნდა. უზრუნველ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ახალი ნაცისტები“. ეს ისლამური პუბლიკაციაც კი არაა.

# NEWSWEEK: ისრაელის ისტორიული კრიზისი

ალარ არის რა ალარც ლიბერალური, ალარც დემოკრატიული და ალარც ევალტიარული საზოგადოება, როგორც ოდესღაც იყო, ისრაელი არაბებსა და საკუთარ თავთან ომობს. ისრაელი თავდასხმის ობიექტი გახდა. პალესტინის ხელისუფლება აპირებს, ცალმხრივ რეჟიმში გამოაცხადონ სახელმწიფოებრიობა და აღიარების თხოვნით გაეგროს მიმართონ. ეს არის უარის თქმა მშვიდობიანი კომპრომისის მიღწევის ყველანაირ მცდელობაზე. ამას პალესტინაში ძალადობა მოჰყვება. ეს უკანასკნელი მანიფესტაცია საბრძოლო მზადყოფნაში ჩააყენებს ისრაელს, რომელსაც გარედან მუსლიმანური არაბული სახელმწიფოები და საზოგადოებები, ისრაელის საელჩოზე შტურმით შემტევი ეგვიპტელები, ბირთვული ირანი და სირიის ალყაშემორტყმული პრეზიდენტი ბაშარ ალ ასადი, შიგნიდან კი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური საპროტესტო აქციების მომწყობი შიდა ამბოხებულები ემუქრებიან.



ლკეულ ადამიანებზე, რომელთაც კარგად ცხოვრება სურთ. ისინი ხედავენ, რომ ნაციონალური ნამცხვრის დიდი ნაჭერი იორდანის დასავლეთ სანაპიროს მკვიდრებისა და ულტრა მარტლმადიდებლების კუთვნილებაა.

50-ზე მეტი წლის წინათ ისრაელის ლიდერებს დეიდ ბენ-გურიონის მეთაურობით სჯეროდათ და იმედი ჰქონდათ, რომ ქმნიდნენ სოციალურ დემოკრატიას თავისი ყველა აუცილებელი გამათანაბრებელი ატრიბუტით (სოციალური ჯანდაცვა, პროგრესული სასემოსავლო გადასახადი, შეღავათები ბავშვებისთვის, სუსნიდირებული იაფფასიანი საცხოვრებელი). ბენ გურიონი, რომელსაც პრაქტიკულად არაფერი ებადა და პენსიაზე გასვლის შემდეგ უდაბნოში პრიმიტიულ ქოხში დასახლდა, სახელმწიფოს დამაარსებელთა ცხოვრების მკაცრი წესისა და კეთილშობილების სიმბოლო იყო.

კიდევ უფრო უარესია ის, რომ ამ კონტინენტის წარმომადგენლები სწრაფად მრავლდებიან. როგორც წესი, ამგვარ ოჯახებში ხუთი-რვა ბავშვი იმ ელიტური ოჯახებისგან განსხვავებით, რომელთაც მაქსიმუმ ორი-სამი შვილი ჰყავთ. ეს უზრუნველყოფს მათთვის არაპროპორციულ გავლენას პარლამენტში და ეს პოლიტიკურ ძალაუფლებად და ეკონომიკურ სარგებლად იქცევა. პარალელურად ულტრა-მარტლმადიდებლები საზოგადოების ულტაქეს ნაწილად დიდწილად იმის გამო რჩებიან, რომ მათი უმეტესობა არ მუშაობს.

ის ისრაელი უკვე ალარც არც კნობს. დადგა ღრმა შიდა კრიზისი. ეს ყოველივე ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ ქვეყანამ არსი შეიცვალა და უფრო მეტად უფრო, ნაკლებად ლიბერალური და ნაკლებად განონანსორებული გახდა. მრავალი ზომიერი ისრაელი შიშობს, რომ ქვეყანა დაშლისკენ მიეკანება. მართლაც, მმართველი კლასი, მათ შორის ბენშამენ ნეთანიახუ და მისი წინამორბედები — ეჰუდ ოლმერტი და ეჰუდ ბარაკი (შრომის პარტიის ყოფილი ლიდერი და ახლანდელი თავდაცვის მინისტრი) მდიდრულად ცხოვრობენ და, როგორც ჩანს, რეალობასთან კავშირი დაკარგეს. თელ-ავივში, სადაც საპროტესტო აქციაზე დაახლოებით 350 ათასი ადამიანი შეიკრიბა, ხალხი ყვიროდა: „ბიბის სამი ბუნა აქვს, ამიტომ არ გავაქვს ჩვენ არც ერთი“.

მედალს მეორე მხარეც აქვს: ისრაელის არაბული უმცირესობა პოტენციურ პრობლემად იქცევა. არაბული საზოგადოება ისრაელში წარმოდგენილია მინარეთებისა და „დახურული“ ქალების სახით და საზოგადოების ლიდერები იმისკენ მოუწოდებენ, რომ ისრაელმა მათ უმცირესობათა კოლექტიური უფლებები, შესაძლოა, ავტონომიის რაღაც ფორმაც მიანიჭოს.

კარგების ათობით ქალაქი მას შემდეგ გაჩნდა, რაც 20-დან 45 წლამდე ასაკის დემონსტრანტები გადასახადების, დაბალი ანაზღაურების, საცხოვრებლისა და სამომხმარებლო ნივთების სიძვირის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებზე გავიდნენ. ეს ყოველივე ოჯახებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ისრაელი იმ იდეოლოგიურად მოტივირებული სიონისტებით გაჯერებული ნაკლებგანვითარებული ქვეყანაა, რომლებიც მზად იყვნენ, კოლექტიური კეთილდღეობისთვის მსხვერპლი გაეღოთ. თანამედროვე ისრაელს აქვს ეკონომიკა, რომელიც ყვავის და რომელსაც თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ინდუსტრია ასულდგმულებს, მოსახლეობის კეთილდღეობა კი, ძირითადად, დამოკიდებულია ცა-

სრაელის წინადადებაზე, 95%-ით გაეთავისუფლებინა დასავლეთი სანაპირო და 100%-ით — ლაზას სექტორი, მაგრამ ისრაელი განაგრძობს ამ ადამიანებზე მბრძანებლობასა და კოლონიზაციის გაფართოებას.

ახლა აღორძინებული ისლამის საფრთხე უფრო დიდია არა მხოლოდ ისრაელში და პალესტინის ტერიტორიაზე, არამედ მთელ რეგიონში, სადაც ის „უმნიშვნელო ხანძარივით“ ვრცელდება. დასავლეთში ბერძენმა, ვინც გადატრიალებებს დემოკრატიული ტრანსფორმაციის მაცნებად მიიჩნევს, ეგრეთ წოდებულ არაბულ გაზაფხულთან დაკავშირებით სიმამაცე მოიკრიბა. ისრაელილები კი ნაკლებად ოპტიმისტურნი არიან. ისლამისტური გზავნილი, რომელიც ანკარიდან მოდის და ჯაირის ცენტრისკენ მიემართება, სასეაანტისემიტური ქვეტექსტის თანხმლები ანტისიონური ლოზუნგებით. ახლა ეგვიპტის ჩამოგდებულ პრეზიდენტს, ხოსნი მუბარაკს იმაში ადანაშაულებენ, რომ ის სიონისტების მარიონეტი იყო. ნეთანიახუს ფოტო, სადაც ის ჰიტლერისეული ულვაშებითა და ესეკლავის ფორმით ნაცისტებს ესალმება, 28 აგვისტოს ეგვიპტის პოპულარული გამოცემის გარეკანზე გამოჩნდა. უზრუნველ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ახალი ნაცისტები“. ეს ისლამური პუბლიკაციაც კი არაა.

ნეთანიახუ ქვეყნის ეკონომიკური დაავადებებისათვის ბიუროკრატიული ბალზამების სერიას ქმნის, მაგრამ ისინი უადგილოები აღმოჩნდებიან და იქცევიან იმ პალესტინელებისა და ანტისიონისტების აქტიურობის ტალღით წალკილი, რომლებიც პალესტინის სახელმწიფოებრიობის მიღწევის შემდეგ გამოჩნდებიან. ეს განაპირობებს „დამრტყმული ტალღების“ წარმოქმნას არაბულ და ისლამურ სამყაროებში. ერთი თვის წინ ეჰუდ ბარაკი წინასწარმეტყველებდა, რომ ისრაელი „პოლიტიკური ცუნამის“ მსხვერპლი გახდებოდა. ყველაფერი სწორედ აქეთ მიდის.

1967 წელს დასავლეთ სანაპიროსა და ლაზას მოპოვების შემდეგ ისრაელის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა იქიდან გამოსვლა ვერც ცალმხრივ რეჟიმში და ვერც მშვიდობიანი შეთანხმებების ფარგლებში. შესაძლოა, არაბები შეცდნენ — 2000 წელს პალესტინელმა ლიდერმა იასირ არაფატმა უარი განაცხადა

## გაფრთხილება

ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი



მომავალ წელს კვლავ ვიყრი კენჭს თეთრი სახლის მეთაურობისთვის, რადგან ჩემი კონკურენტების კონცეფცია ვერ უზრუნველყოფს ჩვენი გრძელვადიანი პრობლემების გადაჭრას. არ დაეყენებდი საკუთარ კანდიდატურას, რომ არ ვთვლიდე, რომ ქვეყნის განვითარებისთვის საუკეთესო იდეები მაქვს და მე ვიბრძობ ამ იდეებისთვის.

დომიტრი მედვედევი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი



სირიასთან დაკავშირებით აუცილებელია ისეთი რეზოლუციის მიღება, რომელიც მკაცრად იქნება და იმავე დროს ბალანსირებულიც და იმოქმედებს სირიული კონფლიქტის ორი მონაწილის — როგორც ბაშარ ასადის მეთაურობით ოფიციალური ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მისამართით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება რეზოლუციას წარმატების უფლება ჰქონდეს.

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი



მთელი იმ სირთულეების მიუხედავად, რომლებიც ევროს ზონაშია, მათ მიწვეს ესმით, რა ხდება და საერთო ჯამში სწორი მიმართულებით მოქმედებენ. მეც ბევრი რამ მაშფოთებს, მაგრამ არსებობს გარკვეული ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ იმავე ევროპაში სირთულეებთან შეჯახებისას ევროპელი ლიდერები პოულობენ საკუთარ თავში ძალასა და ვაჟკაცობას, მიიღონ არასასამოვლო, მაგრამ საჭირო გადაწყვეტილებები.

ჰილარი კლინტონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი



ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში გადატრიალებათა სერიამ საფრთხის წინაშე დააყენა ნაციონალური უმცირესობების მდგომარეობა და რელიგიის ბედი რეგიონში. ადამიანები ეთნიკური კუთვნილების ან რწმენის გამო საკუთარი მეზობლების მსხვერპლნი ხდებიან. მოვუწოდებ ხალხებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ დემოკრატიისკენ, არ დაივიწყონ მისი და რეპრესიის ერთი ფორმა მეორით არ ჩანაცვლონ.

იზრდება და ამ ომში მასობრივი განადგურების იარაღი იქნება გამოყენებული. ეს ფრაზა თავისთავად ბირთვულ იარაღზე მინიშნებაა, ბირთვულ იარაღს კი კონფლიქტის ყველა პოტენციური მონაწილიდან მხოლოდ ისრაელი ფლობს.

და ეს ყველაფერი „თავისუფლების ფლოტილის“ გამო ხდება? ევროკავშირში თურქეთის მინისტრმა აჯგან ბაგისმა განაცხადა, რომ თურქეთი დაუყოვნებლივ გაგზავნის თავის ფლოტს ისრაელთან საზღვარზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში — „თუ კომპანია „Nobel Energy“ დაინცებს ბურღვას ისრაელისა და კვიპროსის საზღვაო საზღვრის მე-12 ბლოკში“.

ცოტა ხნით ადრე ანკარა კვიპროსის მისამართით დაუფრავი მუქარით გამოვიდა, რადგან ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ოქტომბერში აპირებდა, გაზის საბადოები დაეუთარა ხმელთაშუა ზღვის საკუთარ შეღვში, სადაც მოპოვების უფლება ამერიკულ კომპანია „Nobel Energy“-ს ეკუთვნის. ფასეულ რეგიონში საზღვაო ძალების გამოყვანის ამგვარ მიზეზს ნამდვილობის გაცხელებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე ღაზას სექტორის ჰიჯინის საგნებითა და ინვალიდთა სავარძლებით მომარაგების დაუოკებელ სურვილს.

ზემოხსენებული საბადა, რომელიც შარშან გაიხსნა და რომელსაც „აღვივებანი“ ეწოდება, საესებოთ ამართლებს სახელწოდებას. „Noble Energy“ მის საერთო რესურსებს 453 მილიარდ კუბურ მეტრ გაზად და 90 მილიარდ ბარელ ნავთობად აფასებს. მიმდინარე წლის დასაწყისში „აღვივებანი“ უკვე „ამოტივირდა“ — ლიბანის ხელისუფლებამ ისრაელი ბუნებრივი სიმდიდრეების „მიტაცების“ მცდელობაში დაადანაშაულა და მხედველობაში ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის შეღვების ისრაელის ეკონომიკურ წყლებში მდებარე გაზის საბადოები. ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი ალი შაამი აპირებდა, გაეგროს გენერალური მდივნის, პან გი მუნისათვის მიემართა თხოვნით, საკითხის მოგვარებაში ჩარეულიყო. ამისათვის ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი მზად იყო, გაეგროს თვის წარედგინა რუკა, რომელიც დაამტკიცებდა, რომ „აღვივებანი“ განლაგებულია არა ისრაელის, არამედ ლიბანის ეკონომიკურ წყლებში.

ამრიგად, ბევრი რამ თავის ადგილას დგება. ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, მისი გეოპოლიტიკური პროექტების წარმატების შემთხვევაში, თურქეთი არა მხოლოდ რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად იქცევა, არამედ ნახშირწყალბადოვანი ნედლეულის უმსხვილესი მიმწოდებელიც გახდება, მაგრამ ნათვობი და გაზი ისრაელსაც უნდა.

შედეგად წარმოიქმნება სიტუაცია, რომელსაც ერთი წლის წინ ვერავინ ივარაუდებდა: აშშ-ის მთავარი მოკავშირე და ბირთვული იარაღის მფლობელი ისრაელი უპირისპირდება თურქეთსა და ნატოსი სიდიდით მეორე არმიას.

ისლა დაგვრჩენია, თანაუფრობით ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელმაც ახლა როგორმე უნდა გახსნას „არაბული რევოლუციების“ პერიოდში ჩახლართული კვანძი.



მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიხოლოგია ქართველი მეომრებისა, კარგად ვიცოდი, რომ, თუ გავუშვებდი მტრის პირველ იერიშს, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველ შეტაკებისთანავე შედრკებოდნენ, მაშინ გამეორებოდა გათუხის ისტორია და იძულებული გავხდებოდი, დამეხია სამტრედიისაკენ და იქ კვლავ მიეყო შეგროვება გაფანტულ ჯარებისა, რომელიც ასეთი სიძინელით იქნა შეგროვილი ასეთ მოკლე ხანში.

# გენერალი მაზნისაშვილი ქართული ჯარის შესახებ

გაგრძელება. დასასრულისი ნ. №32

2 და 3 აპრილს ვამაგრებდით პოზიციებს, ვანყობდით სამხედრო დანებებულებებს, ვიღებდით ტფილისიდან მოსულ რაზმებს და ვანანილებდით სხვადასხვა ჯგუფებში. დღისით მზვერავის საქმეს ასრულებდა ჯავშნიანი მატარებელი, ხოლო ღამით, როგორც ზევით მოვიხსენიე, ახლომახლო სოფლების მოხუცებულები, რომლებიც ნაცნობი ბილიკებით დადიოდნენ ქობულეთამდე. 4 აპრილს მზვერავების მოხსენების შესამოწმებლად გავემგზავრე ჯავშნიანი მატარებელი ქობულეთისაკენ.

მდ. ჩოლოქის იქით 2 ვერსის დაშორებით ჩამოდის პატარა მდინარე ოჩხამური, რომელზედაც გადებულია რკინის გზის ხიდი სიგრძით 10-12 არშინი. ეს ხიდი მოსახვევშია, აქ რკინის გზის ხაზი უხვევს მარჯვნივ, აქვე თავდება ტყე და იწყება ველი. ეს ადგილი თავდადღამითაინა, თუმცა შემანქანებ დროზე შეამჩნიო, რომ ხიდი აყრილი იყო, მატარებლის შეჩერება ადრე ვერ შესძლო, და მატარებელი შედგა ხიდზე. პირველი საომარი რონოდა აყრილი იყო, მაგრამ რადგანაც ხიდის იქითაც ლიანდაგი აყრილი იყო, რონოდა დაიჯახა მიწას, ორთქლმავალი ტვირთზე გადმობარა და უკანა ტანი თანია.

ამასთან ერთად, მოითხოვა სამტრედიიდან დამხმარე სარემონტო მატარებელი ჯავშნიანი მატარებლის ასანევადა. გაგზავნილმა რაზმმა გაიარა ორი ვერსი ქობულეთისაკენ და მტერი არსად აღმოჩნდა. ამ დროს მოვიდა დამხმარე მატარებელი-სახელოსნოც. 5 აპრილს დილით ჯავშნიანი ორთქლმავალი უკვე ლიანდაგზე იდგა და მთელი მატრედიელი ჩაეყვანეთ სადგურ ნატანებში.

ოჩხამურის რკინის ხიდის გაფუჭებით ოსმალებმა იმ დასკვნამდე მიმიყვანეს, რომ მთავარ იერიშს ისინი მოიტანდნენ ჩემი ჯარის მარჯვენა ფრთაზე.

ამ დროისათვის ყოველ საათში მომდიოდა მცირერიცხოვანი რაზმები, თითო 100-150 კაცამდე. ყველა რაზმები აღჭურვილნი იყვნენ მარულიშვილური გრძნობით, მაგრამ მაინც არ ავიწყდებოდათ ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი, და დანიშნულ ადგილებზე მხოლოდ მაშინ მიდიოდნენ, როდესაც ყველა მოთხოვნილებას დავეუწყავოფილებდით. იმავე დროს მზვერავებმა მაცნობეს, რომ ოსმალების ჯარებმა უკვე დაიჭირეს ქობულეთი და მათი მენიშავე რაზმები ქობულეთს გამოსცდნენ.

მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიხოლოგია ქართველი მეომრებისა, კარგად ვიცოდი, რომ, თუ გავუშვებდი მტრის პირველ იერიშს, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველ შეტაკებისთანავე შედრკებოდნენ, მაშინ გამეორებოდა გათუხის ისტორია და იძულებული გავხდებოდი, დამეხია სამტრედიისაკენ და იქ კვლავ მიეყო შეგროვება გაფანტულ ჯარებისა, რომელიც ასეთი სიძინელით იქნა შეგროვილი ასეთ მოკლე ხანში.

საჭირო იყო სათადარიგო ძალები, რომლებიც მე არა მყავდა, თუ არ მივიღებთ ანგარიშში ერთადერთ ლეგიონს ყარალაშვილისას, რომელიც იდგა ლანჩხუთში. სათადარიგო ჯარს დიდი გავლენა აქვს თხრილებში



მჯდომ ჯარისკაცების სულიერ განწყობლებაზე, მის მაგივრად რაიმე სხვა ძალა უნდა გამოემეგონა, ამიტომ გადავწყვიტე: თუ მტრის უმთავრესი ძალა ჩემს მარჯვენა ფრთას მოაწვებოდა. შემენიშნა ჯავშნიანი მატარებელი და შესარგებლად იმით, ისე, როგორც სარგებლობდნენ ჯავშნიანი ავტომობილებით დასავლეთ ფრონტზე.

გასაჭირო იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ ჯავშნიანი მატარებლის გაჩერება ახლო, გაშლილ მინდორზე, არ შეიძლებოდა, რადგან შეტაკების დროს იგი, შესაძლებელია, დაზარალებულიყო ზარბაზნების ყუმბარებით ისე, რომ ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მატარებელი ვეღარ ვისარგებლებდი.

ბევრი აღარ მიფიქრია, დავიბარე საჩქაროდ რკინის გზის ოსტატები და რაიონის უფროსი, და წინადადება მივეცი ერთი დღის განმავლობაში ჩოლოქის ხიდიდან გაეყვანათ განზე რკინის გზის მოკლე შტო, ისეთი, რომ ზედ დატყულებული მატარებელი.

შუშაობას შეუდგნენ ენერგიულად და, მართლაც, საღამოზე შტო უკვე მზად იყო. მატარებელი მიიმალა ტყეში, ის იყო ჩვენი იმედი გაჭირვების დროს და იმავე დროს იყო შეშინებული ძალა იმ გულსუსტი ჯარისკაცებისათვის, რომლებსაც თავში აზრად მოუვიდოდათ თხრილების მიტოვება და გაქცევა. ეს გარემოება ცხადად აუხსნა ჯარისკაცებს ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა ვლადიმერ გოგვაძემ.

5 აპრილს, ნაშუადღევს გავემგზავრე ავტომობილით ოზურგეთში, მე-4 ქართული ლეგიონის დასათვალისწინებლად.

ეს ლეგიონი ახლად ივსებოდა და სდგებოდა პ. რამიშვილის მიერ მოგროვილ ჯარისკაცებიდან. ლეგიონის უფროსმა სვიმონ

წერეთელმა მომახსენა, რომ სამი ათასი უკვე შემდგარა, ხოლო მეოთხე ათასი უნდა სდგებოდა თვით ქ. ოზურგეთში, რომ ათასეულები უკვე პოზიციებზე სდგანან: ერთი — სოფელ ლიხაურის მახლობლად, მეორე — თხრილებში სოფ. შენოქმედის ბოლოში და მესამეც — თხრილებში სოფ. ვაშნარის გზატკეცილის გასწვრივ. ამასთან, პოლკოვნიკმა წერეთელმა შემომჩივლა, რომ მას არა ჰყავს არტილერია. ჩემს შეკითხვაზე, ვარა თუ არა საომრად მისი ლაშქარი, წერეთელმა დამარწმუნა, რომ ჯარისკაცები ძალიან დარცხვენინი არიან ბათუმისა და გამოქცევით, რომ იბრძოლებენ თავგამოდებით და, რადგანაც თითქმის ყველანი ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები არიან, მედგრად დაიცვენ თავიანთ მიწა-წყალს და ოჯახებს. მე გავაცანი პოლკ. წერეთელს საქმის ეჭვობება, ვუთხარი, რომ ეჭვი არაა, ოსმალები იერიშს მოიტანენ უმთავრესად ჩვენი ჯარების ფრთებზე, რადგან შუაგული ტრიბალი მიწდობრივია და, ამასთან, ჭაობიანიც და ძნელად გასავალი და ესთხოვე, მიექცია განსაკუთრებული ყურადღება მდ. ლიხაურისა და ქ. ოზურგეთის შუა მიმავალ ვიწრო გზებისთვის. ამასთან, დავიპირდი არტილერიის გამოგზავნას იმავე ღამესვე და გამოვტრივალდი ნატანებისაკენ.

შუადღის 4 საათზე მივიღე ცნობა სამტრედიიდან, რომ ჩემს განკარგულებაში იგზავნება 1.300 კაცი, მოგროვილი ხაშურში ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებლის ნიკიფორე იმნაიშვილის შრომითა და ენერგიით.

მართლაც, საღამოს 6 საათზე ეს ემულონი მოვიდა სადგ. ნატანებში და ჩვეულებრივად მოსვლისთანავე მოითხოვეს ტანსაცმელი და პურის ჭამა. უიმისოდ ვერცხვებზე არ ნავალთო, კვრე მე და ვერც

ნაიშვილმა ვერა გავანყვეთრა. ამავე დროს კი ცნობა მქონდა მიღებული, რომ მტერი გამოვიდა ქობულეთიდან და მოინეც ჩვენსკენ. საქმე რომ არ შემეფერხებინა, საინტენდანტო მოხელეებს ვუბრძანე, დაუყოვნებლივ მიეცათ მათთვის ახალი ტანსაცმელი, პური და კონსერვები. მხოლოდ საღამოს 10 საათზე შევქმელი და დავანანილეთ ეს რაზმი პოზიციებზე თხრილებში.

სადგურ სუფსაში იდგა ცხენოსანი მატარების ნაწილი პორუჩიკ ყარაევის უფროსობით, რომელმაც გზა ბრძოლით გამოარღვია და გამოვიდა ბათუმისაკენ, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე გადაცემული იყო.

ტელეფონით ვუბრძანე ყარაევს, რომ თავისი არტილერიით დაუყოვნებლივ ნასულიყო ოზურგეთში პოლკოვნიკ წერეთელის განკარგულებაში.

საღამოს 8 საათზე მზვერავებმა შემატყობინეს, რომ მტერი მოინეცს ორ ნეებად. ერთი ნეება მოდის გზატკეცილით ოზურგეთში, ხოლო მეორე რკინის გზის ლიანდაგით და რკინის უკანასკნელი ნეება გაცილებით მეტია პირველზე. რიცხვით რამდენი იყო ოსმალების ჯარი, მზვერავებმა ამის გამოჩვენება ვერ შესძლეს.

ამ დროს საჩქაროდ დამიძახეს სადგურზე ტელეგრაფის სააპარატოში, მეძახდა პირდაპირ მე ქ. ოზურგეთის ფოსტატელეგრაფის მოხელე. ჩემს შეკითხვაზე, ვინ მელაპარაკებდა, პასუხად მივიღე: — მე მორიგე ტელეგრაფისტი ვარ.

— რა გნებავთ?  
— მინდა, ველაპარაკო გენერალ მაზნისაშვილს.  
— მე ვარ მაზნისაშვილი, სთქვით.

— ბატონო გენერალო, მე მარტო დავრჩი აპარატთან, სახელმწიფო და საქალაქო დაწესებულებანი ყველა აიბარგა და ნავიდა. ჯარებმა დასტოვეს ქალაქი და იხვეწნ დაბა ჩოხატაურისაკენ, როგორ მოვიქცე?

ადვილად მიხვდებით, რა თავზარი დამცა ამ ამბავმა. მოითხოვე, მოეწვია აპარატთან პოლკ. წერეთელი. ამაზე მიპასუხა, რომ პოლკ. წერეთელმაც თავისი რაზმით დასტოვა ქალაქი. ჩემ შეკითხვაზე, დარჩა თუ არა ათასეული ლიხაურში, პასუხი ვეღარ მივიღე.

ამ ლაპარაკის დროს აპარატთან იყვნენ შტაბის უფროსი პოლკ. კოსტილი და არტილერიის უფროსი კაპ. კარგათელი.

ტელეგრაფის მოხელეს კატეგორიულად ვუბრძანე, არამც და არამც არ გაეგრცხებინა ეს ცნობები ხალხში. გათენების 3 საათზე ცნობა მივიღე, რომ მტერი უახლოვდებოდა ოჩხამურის ხიდს. ჩვენმა არტილერიამ აუტყნა სროლა, ზარბაზნები დაუშინეს

გზატკეცილსა და რკინის გზის ლიანდაგს.

თხრილებში მყოფ ჯარის ნაწილებს სასტიკად ნაბრძანები ჰქონდათ, არ ესროლათ თოფი, სანამ მტერი არ გამოივლებოდა მინდვრებზე, რომელიც მდებარეობდა ტყესა და მდინარე ჩოლოქის შუა.

ჯავშნიანი მატარებელს ნაბრძანები ჰქონდა, გათენებისას გამოსულიყო ჩიხიდან, მიახლოვებოდა ოჩხამურის ხიდსა და დახმარება გაენია ტყვიისმფრქვევლებით თხრილებში მყოფ ჯარის ნაწილებისათვის.

მებრძოლი რაიონის უფროსად დანიშნული იყო ბატარეის უფროსი კაპიტანი კარგათელი, რადგან მებრძოლი ძველი ოფიცრები არ იყო.

რკინის გზის მთელ ხაზზე განკარგულება გავეცი, დაუბრკოლებლივ გამოემუვათ ემელონები, რომლებიც ჩემს განკარგულებაში მიემგზავრებოდა.

ოსმალები ბრძოლას ერიდებოდნენ და გათენებისას თავი შეაფარეს ოჩხამურისა და ჩოლოქის შუა მდებარე ტყეს.

მოუთმენლად ველოდით ჯავშნიანი მატარებლის გამოსვლას. ბოლოს თხრილებში მოგვესმა მატარებლის გრალი. ის გამოვიდა მთავარ ხაზზე, წაინია წინ, მაგრამ მტრმა დროზე შეამჩნია იგი და წინ დასახვევად გამოუშვეს დრეკინა. რადგანაც იმ ადგილას გზა თავდადღამითა, გაქანებული დრეკინა დაეტყნა წინა მებრძოლ რონოდას იმ დროს, როდესაც მატარებელი გავიდა ჩოლოქის ხიდზე და გაიარა ასოვად საყენი. დრეკინა დაეჯახა და რონოდა ქვემო დაექცა. რონოდა გადასცდა ლიანდაგს და მატარებელი გაჩერდა.

თხრილებში ჯარისკაცები, ბრძანებისამებრ, წყნარად ისხდნენ. ჯავშნიანი მატარებელიც სდუმდა. ოსმალები წაინათხრობივ გამოვიდნენ ველზე. იფიქრეს, ქართველმა ჯარმა თხრილებში მიატოვაო და მოუახლოვდნენ მატარებელს.

როდესაც კი ველზე საკმაოდ გამოიფინა ოსმალო ასკერები, მატარებელმა მოულოდნელად აუტყნა სროლა ტყვიისმფრქვევლებიდან, რამდენიც კი იყო მატარებელში. იმავე დროს თხრილებიდანაც ატყნა საშინელი სროლა. ოსმალები ჭერებზე იყვრებოდნენ ველზე და მალე მიაშურეს ისევ ტყეს. ჩვენი ჯარი, დაინახა რა გაქცეული ოსმალები, ამოვიდა თხრილებიდან, გავიდა მდინარე ფონით, დაედეგა მტერს და სლდა ოჩხამურამდე.

ნაშუადღევს 4 საათზე ჩვენი ჯარი დაბრუნდა უკან, თხრილებში. ჯავშნიანი მატარებელი ადვილად შევდგით ლიანდაგზე და დავაბრუნეთ ჩიხში.

ჩვენმა ჯარმა ამ ბრძოლაში დაჰკარგა 4 ჯარისკაცი მოკლული და 30 დაჭრილი. სამაგიეროდ, ოსმალები

მტრის მიწინააღმდეგე ნაწილს, რომლებიც მოინდობდნენ გზატკეცილით ოზურგეთისაკენ, არაკომუნიკაციო დაზარალებულნი არ გაუშინეს იმით, ვინც იცავდნენ დეფილეს სოფელ ლიხაურთან. ჩვენმა მეწინავე ათასეულმა უბრძოლველად მიატოვა პოზიციები და გამოიქცა ქალაქისაკენ. ამ ათასეულის დაბრუნებამ ქალაქში შეიტანა პანიკა, ხოლო ჰაერში უწესრიგო, უმიზნო თოფის სროლამ უფრო გააძლიერა შიში. საზოგადოება და სახელმწიფო დანებდა და დაიშვილდა. ოსმალებმა უბრძოლველად დაიჭირეს მიტოვებული ქალაქი.

# ისტორია



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქალიან დაზარალებულნი, მთელი ველი მდინარის პირას მოფენილი იყო მოკლული ასკერებით, როგორც ბოლოს გავიგე ექიმ ვახტანგ ლამბაძისაგან, რომელიც ჩამოვიდა ბათუმიდან 6 აპრილს საღამოზე, ქობულეთიდან ჩამოყვანათ მატარებელი ბათუმში 600-მდე დაჭრილი.

ბრძოლის შემდეგ ვაცნობე დეპუტატს კორპუსის უფროსს გენერალ ვასილ გაბაშვილს.

გენერალი გაბაშვილი მეორე დღესვე თავის შტაბით ჩამოვიდა სადგურ ნატანებში და მოვიხილა სახელის მინილოცა გამარჯვება და გამოიცხადა, რომ სამხედრო მინისტრის ბრძანებით დანიშნული ვარ პირველი დივიზიის უფროსად.

დანერვილებითი მოხსენების შემდეგ კორპუსის უფროსმა მოისურვა პოზიციის დაბრძოლის ველის დათვალიერება. მივიდით ჩოლოქის ხიდთან, კორპუსის უფროსმა დაიარა ახლომანხლო მდებარე თხრილები, ულოცავდა და მადლობას უცხადებდა ჯარისკაცებს.

კორპუსის უფროსს ახლდნენ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრნი ვალიკო ჯუღელი, ა. დგებუაძე, ს. მაისურაძე და პოლკ. კონიაშვილი. ამ უკანასკნელებმა მთხოვეს ნებადართვა, გადასულიყვნენ ჩოლოქის მეორე ნაპირსა ბრძოლის ველის დასათვალიერებლად. უკან რომ დაბრუნდნენ, განაცხადეს, რომ მთელ ველზე და, აგრეთვე, ტყეში მათი ანგარიშით მოკლულია ათასამდე ასკერი. შემდეგში ვაგიგე, რომ სახალხო გვარდიის წევრებს უნდოდათ, შეემოძებინათ ჩემი მოხსენება, რომელშიც ვამბობდი, რომ მოკლულთა რიცხვი ხუთას კაცს აღემატებოდა-მეთქი.

კორპუსის უფროსი დამპირდა ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნას და გაემგზავრა სადგურ სამტრედიისაკენ, სადაც ამ დროს უკვე გადატანილი იყო კორპუსის შტაბი.

დავუბრუნდეთ ახლა 5 და 6 აპრილის ღამეს და ვანახოთ, რა ხდება ჩვენს მარცხენა ფრთაზე.

ოზურგეთიდან, როგორც ვთქვი, ნამოვედი ნაშუადღევის 3 საათზე. სრულიად დაიმედებული ვიყავი ლაშქრის უფროსის მიერ, რომ მარცხენა ფრთა დიდ წინააღმდეგობას გაუწევს მტერს, თუ მან იერიში მოიტანა ოზურგეთზე, მაგრამ აი რა მოხდა: მტრის მეწინავე ნაწილებს, რომლებიც მოინდობდნენ გზატკეცილით

ოზურგეთისაკენ, არავითარი დაბრკობა არ გაუწიეს იმით, ვინც იცავდნენ დეფილეს სოფელ ლიხაურთან. ჩვენმა მეწინავე ათასეულმა უბრძოლველად მიატოვა პოზიციები და გამოიქცა ქალაქისაკენ. ამ ათასეულის დაბრუნებამ ქალაქში შეიტანა პანიკა, ხოლო ჰაერში უწესრიგო, უმიზნო თოფის სროლამ უფრო გააძლიერა შიში. საზოგადოება და სახელმწიფო დანებდა და დაიშვილდა. ოსმალებმა უბრძოლველად დაიჭირეს მიტოვებული ქალაქი.

მე-4 ლეგიონი ისეთი სისწრაფით გამოვბოდა, რომ გათენებებისას მიაღწია სოფელ ჩოხატაურს, რომელიც 18 ვერსზეა ოზურგეთიდან.

დილის 5 საათზე მივიღე ჩოხატაურადან პოლკოვნიკ ნერეთლისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა: «გენერალ მაზნიაშვილს ვერ გაუძეველი და იძულებული გახდა, დამეხია ოზურგეთიდან. მტერთან ერთად ვარ. გთხოვთ, მომიცეთ უფლება, მოლაპარაკება გავმართო ოსმალებთან. პოლკოვნიკი ნერეთელი».

ჩემთვის ცხადი იყო, რომ მე-4 ლეგიონმა, როგორც ბათუმში არ მოისურვა ბრძოლა და გაიქცა ოზურგეთში, ისევე გამოიქცა ოზურგეთიდან და არც კი შეეცადა, რაიმე წინააღმდეგობა გაენია მტრისათვის.

მე დაუყოვნებლივ გაუგზავნე ნერეთელს შემდეგი შინაარსის დეპეშა: «პოლკოვნიკ ნერეთელს, კატეგორიულად გიკრძალავთ, რაიმე მოლაპარაკება გამართოთ ოსმალებთან. გადადექით ლეგიონის უფროსობის თანამდებობიდან. ლეგიონი ჩააბარეთ უფროს ოფიცერს და დაუყოვნებლივ გამოცხადდით კორპუსის შტაბში».

ნერეთლის დეპეშა და ჩემი პასუხი მაშინვე გაგზავნე კორპუსის შტაბში და ვითხოვე, დაენიშნათ ლეგიონის ახალი უფროსი, ხოლო ჩემთან გამოვეგზავნათ უფროსი გამოცხადი ნამსახური ოფიცრები.

ამ დეპეშის თანახმად, ჩემთან ჩამოვიდა გენერალი გიორგი სუმბათაშვილი და ათი-ოდე ოფიცერი.

სუფსიდან გამოგზავნილმა არტილერიის ცხენოსან-სამთო რაზმმა პორუჩიკ ყარაგვის უფროსობით, თავის მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ოზურგეთი უკვე დაჭერილი იყო და ჩაის პლანტაციებიდან მოულოდნე-



გიორგი მაზნიაშვილი (ცენტრში) და მისი ვაჟი ივანე მაზნიაშვილი (უკან)

ლად დაუშინეს თოფები. მას სხვა არაფერი დარჩენოდა უკან გამობრუნების მეტი.

ასე დამთავრდა 6 აპრილის დღე: მარჯვენა ფრონტზე — სრული გამარჯვება, მარცხენაზე კი — სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა, რაც არასოდეს არაფრით არ გამართლებდა.

დიდი საფრთხე მოგველოდა. ოსმალებს გვერდზე შემოვლით ხიდისთავსა, ჩოხატაურსა და საჯავახოზე ადვილად შეეძლოთ, გადაეჭრათ გზა ჩემი მარჯვენა ფრონტისთვის, მაგრამ ოსმალებმა დაიგვიანეს, მე მოვასწარი და 6 აპრილს, საღამოზე დაიჭირე ულულტეხილი ნასაკირალი და ნავომარი ლანჩხუთიდან ჩამოსული სათაღარიკო ჯარის ნაწილები.

პოლკ. ყარალაშვილის მე-2 ლეგიონის ნაწილები დროზე მოვიდნენ და დაიჭირეს უღელტეხილი და ამით წინ გადაელოზნენ ოსმალების ჯარებს. ხაშურიდან მოვიდა პოლკ. ს. გედევანიშვილის რაზმი, რომელიც მოსწილი იქნა ახალციხის ფრონტიდან. ამ ნაწილს სახელად ეწოდებოდა «ფედერალისტების რაზმი». ეს უკანასკნელი ვაგზავნე ნავომარის უღელტეხილზე.

ამ უღელტეხილების მეტროლი რაიონის უფროსად დავნიშნე გენერალი სუმბათაშვილი, გამოცდილი და გულადი მხედარი, რომელმაც სახელი გაითქვა უკანასკნელ უდიდეს ომში და მიიღო უმაღლესი სამხედრო ჯილდო.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გენერალი არ შეუშინდებოდა ბრძოლას, თუნდაც მტერი მასზე ბევრად ძლიერი ყოფი-

ლიყო და მაგალითის მიცემით და ხელოვნური ხელმძღვანელობით მოიგერიებდა იერიშით მოსულ ოსმალებს.

7 აპრილს მან უკვე მაცნობა, რომ მივიდა ნასაკირალზე და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

ჩემ მარჯვენა ფრთაზე მონოლიტმა ოსმალებმა, დაინახეს რა, რომ ჩემი ჯარები აღარ სდევნიან მათ, შეჩერდნენ ოჩხამურის ხიდის იქით, სული მოითქვეს და შეუდგნენ თხრილებს ამოყვანას ტყის განაპირას, ჩოლოქსა და ოჩხამურს შუა. იერიშის განმეორებას, როგორც ეტყობოდა, ვეღარ ბედავდნენ.

ასეთივე მდგომარეობა იყო ჩვენს მარცხენა ფრთაზედაც, ოზურგეთის რაიონში. ოსმალებმა იქაც იწყეს თხრილების ამოყვანა, მე ამით ვისარგებლე და ვაგვიც განკარგულე, გაეფართოვებინათ და გაემუშოებეს თხრილები ჩემი თხრილები. რამდენიმე დღის განმავლობაში თხრილები შევაკეთეთ და შევფიცრეთ. ჩვენ ახლა შეგვეძლო შავი ზღვის ნაპირიდან გაგვევლო 20 ვერსის მანძილი სოფელ შემოქმედამდე ისე, რომ მტერი ვერ დაგვიხახავდა.

7 აპრილიდან 14-მდე გაცხადებით ვამარტებდით პოზიციებს, ვუმატებდით რეზერვებს და მტრის დასახვედრად ვემზადებოდით.

8 აპრილს მოხდა შემდეგი საგულისხმო ინციდენტი: ტელეფონით დამიძახეს, რომ პოზიციაზე გავსულიყავი ხაშურიდან მოსულ რაზმთან მოსალაპარაკებლად.

გული მეუბნებოდა, რომ იქ

კარგი არა იქნებოდა-რა და მაშინვე ვაგემართე პოზიციისაკენ.

ხაშურის რაზმის მიერ არჩეულმა კაცებმა გამოიცხადეს, რომ მათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა 6 აპრილის ბრძოლაში და ახლა თხოულობენ დათხოვნას ცოლ-შვილის სანახავად და შინაური საქმეების მოსაგვარებლად. და რომ რამდენიმე დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდებიან (ნუ დაგავინყვებთ, რომ ეს რაზმი მოვიდა 5 აპრილს).

მე კატეგორიულად უარყავი მათი თხოვნა და მიუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ მათი ნასვლელი ფრონტი დასუსტდება, ამით ისარგებლებს მტერი და 6 აპრილის გამარჯვება ფუჭად ჩაივლის-მეთქი.

თხოვრით რომ ვერას გახდნენ, დელეგატებმა ხერხს მიამართეს. რამდენიმე მათგანმა გამომაცილა თხრილებამდე და გზაზე ლაპარაკი გამიბეს იმ მიზნით, რომ, რაც შეიძლება მეტ ხანს, დავრჩენილიყავი თხრილებში. ამავე დროს დანარჩენები დაბრუნდნენ ამხანაგებთან და გადასცეს ჩემი უარი. მაშინ ხაშურელებმა მოყარეს თურმე თავი და გადასწყვიტეს, თავისი ნებით მიეტოვებინათ პოზიციები და ნამოსულიყვნენ სად. ნატანებში.

აქ ისინი ჩაბრძანდნენ ცარიელ მატარებელში და, რადგანაც თითქმის მთელი რაზმი რკინის გზის მოსამსახურეებისაგან შესდგებოდა (მათ შორის იყვნენ მემანქანეები, კონდუქტორები, მეისრეები და სხვ.), თვითონვე შეადგინეს მატარებლის მოსამსახურენი და, თუმცა სადგურის უფროსმა «შეზღის» მიცემამდე უარი უთხრა, მაინც გაზას გაუდგნენ. სადგურზე რომ მივიდი და ეს ამბავი ვაგიგე, დეპუტატ ვაცნობე მოვითხოვე, რომ გაქცეულები შეეჩერებინათ და უკანვე დაებრუნებინათ ანდა, თუ ეს შესაძლებელი არ იქნებოდა, იარაღი მაინც აეყარნათ მათთვის, ამავე დროს ვუბრძანე პოლკოვ. ყარალაშვილს, რომ იმავე ღამეს მოსულიყო სადგურ ნატანებში სამი ათასეულით.

რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა ყარალაშვილი და თან მოიყვანა 350 ჯარისკაცი (მე-4 ათასეული პოზიციებზე იდგა ნავომარში). იმავე ღამეს ამ ღამეჯარმა დაიჭირა ხაშურის რაზმის მიერ მიტოვებული თხრილები.

9 აპრილს ჩემი ჯარების შტაბში იწყეს სელა სახალხო გვარდიის ემელონებმა ზარბაზნებითა და ტყეისმფრქვევებით, საველე შტაბის უფროსობით.

ბევრმა, შეიძლება, არ იცის, რას ნარმოადგენდა ეს ახალი ხილი სამხედრო საქმეში? ვეცდები ავხსნა იგი, როგორც ეს მე მაქვს წარმოდგენილი.

სახალხო გვარდიას არ უფროსობდა ერთი რომელიმე პიროვნება. იყო მთავარი შტაბი და ეს შტაბი საჭიროებისამებრ გამოჰყოფდა ხოლმე თავის წრიდან 3-4 წევრს, მიუმატებდა ერთს გამოცდილ და მცოდნე სამხედრო პირს და ეს ორგანო იყო ჯარების სარდალი.

ყველა საკითხები, როგორც ბრძოლისა, ისე ადმინისტრაციული და სამხედრო, წყდებოდა ხმის უმეტესობით.

ჩემთან მოსული რაზმი შედგებოდა დაახლოებით 1.000 გვარდიელისაგან. იყვნენ კარგად ჩატრენი და შეიარაღებული. თითქმის ყველას ჰქონდა თოფი, რევოლვერი და ხანჯალი. მეტ ნაწილს შეადგენდნენ რკინის გზის სახელოსნოებისა და ტრამვაის მუშა-მოსამსახურენი.

რას წარმოადგენდა იგი, როგორც მებრძოლი მასალა, არ ვიცოდი, რადგან ამგვარი კონსტრუქციის ჯარები ხელქვეით არასდროს არ მყოლია, შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ ამ გვარდიას ბრძოლის დროს თუ მიუზღებდით ერთს კარგად განვრთნილ ჯარის რაზმს, შესაძლებელი იყო მათზე დაყრდნობა.

გაბრძობა ზემოთ ნომერი



## გაეოვიდა საეხსიარო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოსტაპოვა ნოვაკი

ჟურნალი დღევანდლობის აქტიურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც «ისტორიული მემკვიდრეობის» ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევენ მკითხველთა ყურადღებას, რადგან «ისტორიული მემკვიდრეობა» საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თამარ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაცია — «ისტორიული მემკვიდრეობა» — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულითა სერიას, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავს. კრებულის გამომცემელია აკადემიკოსი ვახტანგ ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. მისი მისიონერული მიზანმიმართული მუშაობის შედეგად დასრულდა «ისტორიული მემკვიდრეობის» საერთაშორისო მანუალის გამოცემა, რომელიც დაეძღვნა საქართველოს ისტორიის მკვლევარებს და მათთვის მისაღებია. მისი მისიონერული მიზანმიმართული მუშაობის შედეგად დასრულდა «ისტორიული მემკვიდრეობის» საერთაშორისო მანუალის გამოცემა, რომელიც დაეძღვნა საქართველოს ისტორიის მკვლევარებს და მათთვის მისაღებია. მისი მისიონერული მიზანმიმართული მუშაობის შედეგად დასრულდა «ისტორიული მემკვიდრეობის» საერთაშორისო მანუალის გამოცემა, რომელიც დაეძღვნა საქართველოს ისტორიის მკვლევარებს და მათთვის მისაღებია.



**გეპ**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მსოფლიოში ყველაზე დიდი ფეხსაცმლის სიგრძე 18.04 ფუტია, სიგანე — 6.92 ფუტი, ხოლო სიმაღლე — 9.52 ფუტი.

# გინესის უხელოები რეკორდები



5 წლის შინაური კატა — Stewie — გინესის რეკორდსმენი გახდა. იგი ყველაზე გრძელი კატაა მსოფლიოში. მისი სიგრძე ცხვირიდან კუდის ბოლო ძვლამდე 4 ფუტზე ოდნავ მეტია (1 ფუტი 30.48 სანტიმეტრია).



ლას ვეგასში, Mandalay Bay Resort & Casino-ში გამოფენილია ყველაზე დიდი ფინჯანი, რომელშიც დაახლოებით 2010 გალონი (გალონი არის 3.78 ლიტრი), ანუ დაახლოებით 32 160 ფინჯანი ყავა ჩადის.

აშშ-ის მკვიდრმა ლონდონში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როდესაც 10 მეტრზე შეძლო გადაადგილება ყველაზე მძიმე ფეხსაცმლით, რომლის წონაც 323 გირვანქაა (გირვანქა 453.6 გრამია).



იაპონიის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის 158 წევრისგან შემდგარი მუსიკალური ჯგუფი გინესის რეკორდების წიგნში იმის გამო მოხვდა, რომ 32 წევრით აჯობა წინა რეკორდსმენს — 126 წევრისგან შემდგარ ჯგუფს.



გახუხული პურის მოყვარულმა 27 წლის ლაურა ჰედლანდმა სწორედ რომ ამ მასალისგან შექმნა მოზაიკური ნამუშევარი. მან მის 40 მეგობართან ერთად, 600 პურის კვერის 9852 ნაჭრით (რომელთაგან შესაბამისი რაოდენობა 9 ტოსტერის მეშვეობით სათანადო კონდიციამდე გახუხეს) შექმნა 32 ფუტი სიგანისა და 42 ფუტი სიმაღლის მოზაიკური ნაშრომი, რომელზეც მისი დედამთილის სახე ასახა.



ონტარიოში სკოლა Ancaster High School-ის 1861-მა წევრმა 5 წუთის განმავლობაში სინქრონში შეასრულა ცეკვა „მაკარენა“, რის გამოც რეკორდების წიგნში შევიდა.



ალბანელი მხატვარი არტისტ შაიმირი უკვე მეხუთედ მოხვდა გინესის რეკორდსმენთა წიგნში. აქამდე მან უკვე დაამყარა 4 რეკორდი, ამჯერად კი ყველაზე დიდი ბანკნოტის შექმნის გამო გახდა რეკორდსმენი. ნამუშევრის ზომებია 490სმX240სმ და შექმნილია 300 000 ჭანჭიკისგან.



გერმანელმა ჯო ალენანდერმა ბეტონის 24 ბლოკი მკლავის სამჯერადი დარტყვით დაამტკიცა, ისე, რომ ხელში უმი კვერცხი ეჭირა. კვერცხი, რა თქმა უნდა, მთელი დარჩა. წინა რეკორდი 14 ბლოკი იყო.

ჯო ალენანდერმა გერმანელი პროფესიონალი მშვილდოსნის მიერ მიზანში ნატყორცნის ისარტაგან 43 ისარი ჰაერში ხელით დაიჭირა. უწინდელი რეკორდი 36 ისარი იყო.



მეხიკო სითიში შეფშარეულებმა მოამზადეს მექსიკური ეროვნული კერძი „enchilada“, რომლის სიგრძეც 230 ფუტს, ხოლო წონა დაახლოებით 1,5 ტონას აღწევდა.



მსოფლიოს ყველაზე ასაკოვანმა ტყუპმა — ლილიმ და ენიმ ას წელს გადააჭარბეს.

ვისკონსინის მკვიდრმა კრის სტივენსმა მოიყვანა მსოფლიოში ყველაზე დიდი გოგრა, რითაც იგი გინესის რეკორდსმენთა წიგნში შევიდა. გოგრის წონა 1810.5 გირვანქაა.



# ორდინგისანი გოჭი

ჩინეთის ჩრდილოეთით, დეშენგტანგის ფერმაში ორდინგისანი ღორი გაჩნდა. უცნაურ ცხოველს ორი ცხვირი და ორი პირი აქვს და მათ აქტიურად იყენებს. ფერმის პატრონების თქმით, მათი გოჭი საოცრად პოპულარულია. მის სანახავედ მთელი ჩინეთიდან ჩამოდიან. „გოჭი ძალიან კომუნიკაბელურია. როგორც კი სტუმრები ჩამოდიან, მათთან მირბის, ყველას ისე ეალერსება, როგორც კატა,“ — განაცხადებს მათ. უცნაური გოჭი ჩვეულებრივებმა აითვალნენ, ამიტომ პატრონებმა ის სახლში გადაიყვანეს და სანოვარათი კვებავენ. წელს ჩინეთში უკვე გაჩნდა ძროხა-მარტორქა და უყურებო კურდღელი.



# ქრონოგრაფი



www.geworld.net


თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბოროტი ბენიოსები

მეცნიერებას ბედის რჩეულები ემსახურებიან, მათი სახელები კი სამუდამოდ რჩება ისტორიას. მათ შორის კი არიან ისეთებიც, რომელთა გასაოცარმა გონებამ დიდი განსაცდელები დაატენა თავს კაცობრიობას.

**ალფრედ ნობელი**  
შვედმა მეცნიერმა მსოფლიოს დინამიტი აჩუქა. ამ გამოგონებამდე ის გლიცერინთან დაკავშირებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად მივიდა, მაგრამ მას თავს უბედურება დაატყდა — დინამიტმა მისი ძმის სიცოცხლე შეინარა.

ყველაფერი ფაბრიკაში მომხდარმა ერთმა უბრალო შემთხვევამ გამოიწვია. დინამიტი XIX საუკუნეში ადამიანთა განადგურების ყველაზე ძლიერი იარაღი იყო, გამოგონებამ ნობელს ზღაპრული სიმდიდრე შესძინა და სწორედ მისი წყალობით დაფუძნდა ცნობილი ნობელის პრემია.



**პარაცელსი**  
სახელგანთქმული შვეიცარიელი ექიმის, ფარმაცევტის, ფილოსოფოსის, ბუნებისმეტყველის, ალქიმიკოსისა და ასტროლოგის (1493-1541) ნამდვილი სახელი და გვარია ფილიპ აურელი ტეოფრასტ ბომბასტ ფონ გოგენგეიმი. პარაცელსი ცელსის მსგავს ნიშნავს, სახელი აურელი კი, რაც თარგმანში ოქროსას ნიშნავს, მეცნიერმა თავად შეირქვა საკუთარ ხელოვნებაზე აღმატებული წარმოდგენის გამო.

მას ძალიან ბევრი საინტერესო, ორიგინალური იდეა ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფურად იყო შეპყრობილი ერთი იდეით — შეექმნა გომონკული. გომონკული, როგორც

მოგეხსენებათ, უნდა ყოფილიყო უემოციო და ცივისსხლიანი ადამიანის მსგავსი არსება, რომელსაც არც სიკეთე ადარდებდა და არც ბოროტება. მისი ერთადერთი მიზანი კი სიკვდილის თესვა უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ არსების შექმნის ყველაზე პოპულარული „რეცეპტით“ დარჩა ისტორიაში პარაცელსი. მისი აზრით, გომონკული გაჩნდებოდა კოლბაში ადამიანის სურმისაგან, თუ მას პერიოდულად შეათბობდნენ და კიდევ რამდენიმე, ბოლომდე გაუშვინებდნენ მანიპულაციას ჩაუტარებდნენ. გომონკული იმავე კოლბაში პერიოდულად ადამიანის სისხლით უნდა ეკვებებოდა და 40 დღის შემდეგ კოლბიდან გამოვიდოდა 12



დღის სიმაღლის ადამიანის მსგავსი სიკვდილის მანქანა. ლეგენდის თანახმად, პარაცელსმა იმდენ ხანს ატარა ცდები, ვიდრე გომონკული მართლაც არ შექმნა, მაგრამ თავისი შედეგები მეცნიერს ლაბორატორიიდან გაექცა.



**შირო იშიი**  
ეს ადამიანი ნამდვილი დოქტორი ბოროტებაა. მიკრობიოლოგმა, ცნობილი 731-ე პოლკის გენერალ-ლეიტენანტმა შირო იშიიმ (იაპონია, 1892-1959) განათლება კიოტოს საიმპერატორო უნივერსიტეტში მიიღო და მოხვდა ზემოხსენებულ პოლკში, სადაც გამოკვლევებისთვის მთელი ქალაქი გააშენა. კომპლექსი შედიოდა 150 შენობასა და 6 კვადრატული კილომეტრის მოედანს მოიცავდა.

ეს ადამიანი ნამდვილი ლეციფერი იყო. იგი უსასტიკეს ექპერიმენტებს ატარებდა ტყვეებზე — კიდურებს აჭრიდა და ხელახლა აკერებდა, ცალკეულ ორგანოებს უყინავდა და ულღობდა, ადამიანებზე იარაღს ცდიდა და უამრავ სისხლიან ექსპერიმენტს ატარებდა. იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ იგი ამერიკამ დაიკავა და შირო აბსოლუტურად დაუსჯელი დარჩა. იგი მშვიდი სიბერის შემდეგ 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.



**ჯულიუს რობერტ**  
**ოპანჰაიმი**  
ამერიკელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, ბერკლი კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ-ის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი იმის წყალობით გახდა, რომ სათავეში ედგა მანჰეტენის პროექტს, რომლის ფარგლებშიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ბირთვული იარაღის პირ-

ველი ნიმუშები იქმნებოდა. ამის გამო ოპენჰაიმერს ხშირად ბირთვული ბომბის მამასაც უწოდებენ. სამწუხაროდ, მისმა ბრწყინვალე გონებამ კაცობრიობს კარგი არაფერი მოუტანა, მაგრამ დღეისათვის ამერიკაში მის მთავარ დანაშაულად ამ საშინელი იარაღის შექმნა კი არა, ლალატი ითვლება. მეცნიერს კომუნისტურ პარტიასთან კავშირს დებდნენ ბრალად.

# არქიტექტურული გაჭდაბი

ფილიპ ტურნერი, უკვე დიდი ხანია, უბრალოდ სახელი და გვარი აღარ არის. ბრენდი Philippe Tournaire მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ იუველიერს წარმოადგენს. ფრანგი წარმოშობის სამკაულების დიზაინერი, დაახლოებით 39 წელია, არქიტექტურას ბექტებში ქმნის. ყოველი მისი ნამუშევარი ორიგინალური და უნიკალურია. მან მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი შენობის ანალოგი ბექტედი შექმნა.



# უხუხასი სიახის ტყუპები

მსოფლიოს ყველაზე ხნიერმა სიახის ტყუპებმა 50 წლის იუბილე აღნიშნეს. ჯორჯ და ლორი შეპელები აშშ-ში დაიბადნენ, მედიკოსების პენსილვანიის პროვინციის მიუხედავად, გადარჩნენ და მთელ მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ სრულფასოვანი ადამიანები არიან.

სიახის ტყუპები ერთმანეთზე სახით არიან შეზრდილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯორჯი ქანთრის შემსრულებელია, ლორის კი ბოულინგის თამაში იტაცებს. ცოტა ხნის წინათ



ჯორჯმა სქესი შეიცვალა. „ბავშვობიდანვე ვფიქრობდი, რომ ბიჭად უნდა დავბადებულიყავი. დიდხანს ვმალავდი, რომ სქესის

შეცვლა მსურდა და მთელი ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაში გავატარე.“ — ამბობს ახლა. რაც შეეხება ლორის, მან 21

წლის ასაკში სასამართლო პროცესი მოუწოდა კოლეჯს, რომელმაც ფიზიკური ნაკლის გამო მას ჩარიცხვაზე უარი უთხრა.



# ყველაზე გრძელი ფრჩხილები

46 წლის მომღერალი კრის უოლტონი მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფრჩხილების პატრონია — მათი სიგრძე 6 მეტრს აღწევს. კრისმა თავისი ფრჩხილები ნიუ იორკში გინესის რეკორდების წიგნის მესვეურების ორგანიზებულ მიღებაზე წარმოადგინა. უოლტონმა განაცხადა, რომ ფრჩხილებს 18 წლის განმავლობაში იზრდიდა და იმისთვის, რომ არ მომტვეროდა, სპეციალურ დიეტასაც იცავდა. კრის უოლტონი ფრჩხილების მოჭრას არასოდეს აპირებს.



# ყველაზე დიდი ქალაქის გეი

ნიდერლანდების ქალაქ ლევუარდენში ათასობით მაცურებლის თვალნის მსოფლიოში ყველაზე დიდი ქალაქის გეი წყალში საზეიმოდ გაუშვეს. ხომალდი ხელოვანმა მარტენ ვინტერსმა 3 ათას მოხალისესთან ერთად ააგო. ამისთვის მათ 2 წელი დასჭირდათ. გემის სიგრძე 20 მეტრია, სიმაღლე კი — 4,5მ. ხომალდი მთლიანად ქალაქის არ არის, მას ხის კარკასი აქვს.

